



đ ń š à õ à á ô ò

ება, ბიბულა, ხორბეჭინგვა — ოჯიბა, ხევიძე, ქართველი  
კოხები, გიორგიები, გებები — ქართველები, ხავაბაურეა, მიხედვები



№11, 0360Ն, 2019



ინტერვიუ საქართველოს  
მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის პრეზიდენტ  
გიორგი კვასიშვილისთვის

## ესაუბრა ენვერ ნიუარაძე

ბატონიშვილის გიორგი! გასული წლის  
დეკემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სტუმრად იმყოფებოდა ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია პრეზიდენტ ჩუნლი ბას ხელმძღვანელობით, ამ ცოტა ხნის წინ კი თქვენ ბრძანდებოდით ჩინეთში. გაგვიზიარეთ თუ ვინ მიგინვიათ ხუთი ვარსკვლავის რეპსულიკაში და რა მიზნები და ამო-ანიში ჯორნალის ამჯერად დასახლო.

ბატონი ენვერი! ჩინეთში ჩემი ყოველი ჩასვლა, უპირველეს ყოვლისა, მაღალ ტექნოლოგიებს უკავშირდება. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ჩინეთის სამეცნიერო წრების და დაწესებულებების ინტენსიური ურთიერთობა რომელიც ოთხი წლის წინ, 2015 წელს დაიწყო, ძირითადად სწორედ ორივე მხარისთვის დიდად საჭირო შალალი ტექნოლოგიების სფეროს მოიცავს. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ იმ წელს ჩინეთში ყვითელი ზღვის პირას მდებარე ქალაქ იანტაიში გაიხსნა პიოტრექნოლოგიების ქართულ-ჩინური ინსტიტუტი. მომდევნო, 2016 წელს, თბილისში დაარსდა და წარმატებულად მუშაობს ტექნოლოგიების ტრანსფერის ინსტიტუტი.

რამდენადაც ცნობილია, თქვენ  
შანდუნგის ტექნოლოგიური უნივერ-  
სიტეტის საპატიო პროფესორი  
ბრძანდებით. ხომ არ გვეტყოდით რას  
გავალებთ, ეს როგორც მეცნიერს,  
მომავალში.

შანდუნგის ურივერსიტეტის საპატიო პროფესიონალური 2018 წლის ნოემბერში ამირჩიეს, მას შემდეგ, რაც მე იქ სემინარები ჩავატარე და იქაურ მეცნიერებთან, კერძოდ ტექნოლოგებთან, პროფესიული საუბრები გამოართე. ეს ჩემთვის დიდი პატივია და როგორც მეცნიერი მზად ვიქნები ჩემი ცოდნის და გამოცდილების სტუდენტების და სპეციალისტებისთვის გასაზიარებლად. როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ყველა ღონის ვიზმარქართველ და ჩინელ მეცნიერთა შორის ბოლო დროს ჩამოყალიბებული პერსპექტიული ურთიერთობების განვითარების და გასაფართოებლად.

შეხვდით თუ არა პირადად ჩინებ-  
თის მეცნიერებათა აკადემიის პრეზი-  
დენტ ჩულნო ბაის, რომელიც გასული  
წლის ბოლოს თბილისში გესტურათ  
და მოგვიანებით საქართველოს მეც-  
ნიერებათა ეროვნული აკადემიის უც-  
ხოელ წევრად იქნა არჩეული, და თუ  
შეხვდით, ხომ არ გადაეციო მას აკა-  
დემიის უცხოელი წევრის დიპლომი?

ჩინეთის აკადემიის პრეზიდენტ-  
თან შეხვედრა არ იყო პროგრამა-  
ში შეტანილი, რადგან ის, სწორედ  
იმ დროს, საზოგადოებრივი იმყოფე-  
ბოდა. მაგრამ, რომც შევხვედროდი,  
ჩვენი აკადემიის უცხოელი წევრის  
დიპლომს ვერ გადაცემდი, რადგან  
დიპლომის გადაცემა, წესდების თა-  
ნახმად, თბილისში მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიაში უნდა შედგეს.

როდესაც იანტაის და შანდუნგის  
ტექნოლოგიურ ცენტრებთან ქართ-  
ველი მეცნიერების კავშირზე ღაპა-  
რაკობთ რომელ ტექნოლოგიებს  
გულისხმოთ კერძოდ? რომელიმე  
მათვანებს ხომ ვარ თავისახელაბიოთ?

ମର୍ଯ୍ୟାନ୍ତ କିମ୍ବା ପ୍ରକାଶକ ହେଲୁଥିଲା.  
ଅରନ୍ଦାଶୁଳମା ଗାନ୍ଧୀ-  
ତାର୍ଯ୍ୟାନ୍ତ ହିନ୍ଦେତସ, ଏତୋ ମେରିଓ, ଗିଗାନ୍ତ-  
ପ୍ରତ୍ୟାନ୍ତ ଶ୍ରେଷ୍ଠମାତ୍ରାଙ୍କା, ମେରୀ  
ମେରିଓ କୋ, ଡିଇ ଏକାଲୋଗୋରିଜନ ପ୍ରକାଶ-  
ଲେମ୍ବେକି ଶ୍ରେଷ୍ଠମା, ରାମାଚାର ଡାକିନ୍ଦୁର୍ଗେ-  
ଦୁଲ୍ଲି ମିନ୍ଦେବିଳି ଗାନ୍ଧୀନ୍ଦା ଡଲିଲି ନେଶ-  
ନ୍ତରିଗଢ଼ି ମତେଲି ସିନ୍ଦ୍ରିତାକିତ ଦାଖ୍ୟନ୍ଦା.  
ନେଶନ୍ରେ ଏକ ଗାନ୍ଧୀକାରୀତା କାରିତାକେଲି ଦା  
ହିନ୍ଦେଲି ମେଫନ୍ଦୀର୍ଯ୍ୟାନ୍ତିରି ଗଢ଼େବି. ତୁମପ୍ରା  
ହିନ୍ଦେତଥି ମେଫନ୍ଦୀର୍ଯ୍ୟାନ୍ତିରି ଦା ତ୍ରୈକଣ୍ଠାଲ-  
ଗ୍ରିଯାନ୍ତିରି ପାଲକ୍ଷ୍ମୀ ସାମିନିନ୍ଦିତରି ଆର୍ଶେବନ୍ଦିଲ  
ଦା ଅର୍ପେରତି ଆଶାଲି ତ୍ରୈକଣ୍ଠାଲଗ୍ରିଯା  
ମିଳି ପ୍ରାଣଦର୍ଶକିରି ମିଳମା ଆ ରହି-  
ଦା, ମାଗରାମ ଦାକିନ୍ଦୁର୍ଗେଦୁଲ୍ଲି ମିନ୍ଦେବିଳି  
ଗାନ୍ଧୀନ୍ଦାରି ସାଜମ୍ଭେଦି ମାତି ତ୍ରୈକଣ୍ଠାଲ-  
ଗ୍ରିଯାନ୍ତିରି ଆର୍ପା ତୁ ଡିଇଦା ଏତ୍ତେକିତୁରିଆ.  
ଅମିଳି ସାମିନିନ୍ଦିତରି ମନ୍ତ୍ରବିନ୍ଦୁନ୍ଦିଲ୍ଲିରି  
ଆଶାଲ, ଦୁର୍ବେଦ୍ଧିରି ତରିନ୍ଦୁପିଦ୍ଧିତ୍ତେ ଦାମ-  
ଧ୍ୟାନାର୍ଥେଲ୍ଲ କାରିତ୍ୟାଲି ତ୍ରୈକଣ୍ଠାଲଗ୍ରିଯାନ୍ତିରି  
ତାନ୍ଦାତାନ ନିର୍ଦ୍ଦେବା. ମାତି ଦାମ୍ଭୁଷାଵ୍ୟ-  
ଦା ହିନ୍ଦେନ୍ଦ୍ରି ଦାକାଶଲୋକୀତ ନାଥୀ ଆତ୍ମ୍ୟ-  
ଲି ନ୍ତିଲି ନିନ ଦାଵିନ୍ଦ୍ରିତ, ରାତ୍ରି ଶର୍ମାଲି-  
ଅତ ସାମିନି ଭରି ଗାମନିଦିଗ ରାଗାନ୍ତରିତ  
ତେଜରିନ୍ଦୁଲି କୁଲ୍ଲାପିଲାତ୍ତୀବି, ଆସ୍ଵା ଶ୍ରେ-  
ସାମିନି ତରାକ୍ରିଯାଲି ଶ୍ରେଷ୍ଠମ୍ଭେଦି  
ମିଳାଲିନ୍ଦ୍ରିତାରି. ଏତୋ ସିତ୍ପିତାକିତ, ଦାଦେଶ-  
ନ୍ତି ଶ୍ରେଷ୍ଠମ୍ଭେ ସାକ୍ଷେତ୍ତା ଦା କମାପନ୍ତିଲ୍ଲିର୍ଯ୍ୟ-  
ଦାଶ ନିର୍ବେଳେ ମି କ୍ରେପାନ୍ଧେନ୍ଦ୍ରି, ସାଦାତ୍ର  
ଦାକିନ୍ଦୁର୍ଗେଦୁଲ୍ଲି ମିଳିଲି ଗାନ୍ଧୀନ୍ଦାଦାତ  
ଏକାରିତ୍ୟାଲି ନିର୍ବେଳେନ୍ଦ୍ରି ତ୍ରୈକଣ୍ଠାଲଗ୍ରି

ქნა გამოყენებული. ქართული ინოვაციური ტექნოლოგიები ამ საქმეში არა თუ ჩამორჩება, არამედ წინ უსწრებს ზოგიერთი დიდად განვითარებული ქვეყნის ტექნოლოგიებს. კერძოდ, მას ბევრად ნაკლები დრო სჭირდება დაბინძურებული მინის გასასამენდად. ერთი ყველაზე უფრო გამოყენებადი ქართული ტექნოლოგია, რომელიც ბევრად უფრო ეფექტური და მასშტაბურია, არის მცნობელოსა და მიკროორგანიზმების სიმპიოზი, რომელიც სწორედ დაბინძურებული ნიადაგების აღსაღენად გამოიყენება. ამ მიზნით თავიდან მხოლოდ სელექციურად შერჩეულ მიკროორგანიზმებს ვიყენებდით და ისინი წარმატებით შლიდნენ ნიადაგში დაგროვილ ტოქსიკურ ნაერთებს. მაგრამ, როდესაც აღმოჩნდა, რომ მათ არ ჰქონდათ საქმარისი ძალა ნიადაგის მძიმე ლითონებისგან გასასამენდათ, ჩვენ ნიადაგების რეაბილიტაციის ჯაჭვურ პროცესში მიკროორგანიზმებს გარკვეული მცნობელები დაგამატეთ, ისეთი მცნობელები, რომლებიც იწოვენ მძიმე ლითონებს და ისინი ნიადაგის ზედა ნაწილში ამოაქვთ, სადაც ხდება მათი დამლა და, ამრიგად, ნიადაგს ეს ტოქსიკური ნარჩენებიკ შორდება.

დავასახელებ ზოგიერთ საკითხს, რომელზეც ჩინურ სამეცნიერო ცენტრებში ქართველი და ჩინელი მეცნიერები ერთობლივად ვმუშაობთ. კერძოდ, ვცდილობთ შევქმნათ ისეთი პიონიერულობგა, რომელიც ძალიან დაპალკალორიულ საკვებს, ცილების დამატებით, მაღალ კალორიულ საკვებს.

## საერთაშორისო სამაცნეორო კოფერაცია

მიმდინარე წლის 1-დან 10 ივნისის ჩათვლით, თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით - “ტოპოლოგიურ და ძლიერ კორელირებულ სისტემებში აღმოცენებული დაბალგანზომილიბანი კანტირი სისტემები”.

ლონისძების ორგანიზატორები იყვნენ პროფესორი რაინჰოლდ ეგერი (დიუსელდორფის უნივერსიტეტი), პროფესორი გიორგი ჯაყელი (შტუტგარტის უნივერსიტეტი), ილიას უნივერსიტეტის პროფესორები, აკადემიკოსები ალექსანდრე ნერსესიანი და გიორგი ჯაყელი.

ღონისძიება თანადაფინანსებული იყო „ფოლკსვაგენის“ ფონდის და შოთა რუსთაველის სამეცნიერო

**ბად აქცევს.** ეს გახლავთ ურთიერესი ტექნოლოგიური პროცესი და მასში მონაწილეობას იღებენ მიკროორგანიზმების კონსორციუმები. ჩვენი ინოვაციური მიღწევების საშუალებით უკვე უმეტესი აგრძარული ნარჩენის გადამზადება შეგვიძლია.

აღნიშნული ინვაციები ჩვენ გვაძლევენ 80% ცელულოზის შემცველი სოფლის მეურნეობის საწარმოო ნარჩენების გლუკოზაში გადაყვანის საშუალებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გლუკოზა დღევანდელ ბიოტექნოლოგიაში უმაღლეს ხარისხის სუბსტანტია.

უნდა ითქვას, რომ ჩევენ დიდი  
წარმატებები გვაქვს მოპოვებული  
ეკოლოგიური და სხვა მიზნებისთვის  
საჭირო მიკროორგანიზმების გამოყოფაში. ჩევენ შეგროვებული გვაქვს  
საქართველოს და საზღვარგარეთის  
ნიადაგურ-კლიმატური ზონებიდან მოპოვებული დაახლოებით **10000 მიკროორგანიზმი**, რომელთაგანაც ვქმნით  
კონსორციუმებს. ამრიგად, რამდენიმე მიკროორგანიზმის ერთად, ეფუძლებანი  
მოქმედების შედეგად, წარმოიქმნება  
მეცხოველობისთვის აუცილებელი ახალი, სრულფასოვანი საკუთხი.

ჩინეთი დღეს ის ქვეყანაა, რომელიც გოლიათური ნაბიჯებით მიიწვეს ნინ ცხოვრების ყველა სფეროში, ხოლო მის ამჟამნდელ ეკონომიკურ ნარმატებებს გაუგონარი შეიძლება ეწოდოთ. თუნდაც ის ამბავი, რომ ქვეყანას თავისი მილიარდნახევრი-ანი მოსახლეობის გამოკვება უკვე თავისუფლად შეუძლია, მისდამი უთვიოდ დიდ პატივის გამას აღძრავს.

არ შეიძლება ამ ქვეყნის ნარ-  
მატებებით არ აღფრთოვანდე. ჩი-  
ნელებს მე პირადად ფუტკრებს შევა-  
დარებდი. მართლაც ფუტკრებივით  
დაუღლელად შრომობენ ისინი,  
რადგან იციან, რომ ქვეყნის აყვავე-  
ბის (ჩინეთი დღეს მართლაც ყვავის)  
ერთადერთი გარანტი ყოველდღიუ-  
რი, მუხლიაურებრილი შრომაა.

დასავლური პრესის მიხედვით,  
ჩინეთი დიდ ყურადღებას უთმობს  
ახალ კაშირებს მსოფლიოს ხალხ-  
ებთან, მაგრამ, სხვა დიდი ქვეყნები-  
სგან განსხვავებით, განსაკუთრებულ  
მნიშვნელობას უძევესთ წარმოშობის  
მაღალ კულტურულ ერებს ანიჭებს. ამ  
ქრისტიანულ ციტატაზე განხილუ-  
ლი ქართული მეცნიერებით ჩინელი კო-  
ლეგების მზარდი დაინტერესება?

გადაჯრით ამაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ შესაძლოა ეს მართლაც ასე იყოს. ბოლოს და ბოლოს ჩინერთზე უკეთ ვინ იცის მსოფლიოში, რომ წარსულში აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი „აპრეშუმის გზა“ საქართველოზე გადიოდა. რაც შეეხება ქართული მეცნიერებით ჩინელი კოლეგების მზარდ დაინტერესებას, ეს ჩვენი საუბრიდანაც ნათლად იკვეთება. ჩვენ კმაყოფილი ვართ იმ ურთიერთობით, რომელიც ბოლო წლებში საქართველოს და ჩინეთის მეცნიერებსა და მეცნიერებათა აკადემიებს შორის ჩამოყალიბდა და ვიმედოვნებთ, რომ საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებულ უამრავ ხელშეკრულებას, მალე მეცნიერების დარგში თანამშრომლობის ხელშეკრულებაც დაგმატიზება.

რო ფონდის მიერ. კონფერენციას  
მასპინძლობდა ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტი და საქართველოს  
მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

კონფერენციის ძირითადი თემა  
იყო თანამედროვე ნანოტექნოლოგიის  
მეთოდებით მიღებულ მასალებში აღ-  
მოცეხებული უჩვეულო თვისებების  
შესწავლისას მიღებული უახლესი  
ექსპერიმენტული შედეგების და თეო-  
რიული მიდგომების განხილვა.

კონფერენციაში მონაწილეობდა 60-ზე მეტი წამყვანი მეცნიერი მსოფლიოს 20 ქვეყნიდან, მათ შორის მაქს პლანკის საზოგადოების შტუტგარტის მყარი ტანის ფიზიკისა და დრეზდენის კომპლექსურ სისტემათა ფიზიკის ინსტიტუტებიდან ოთხი მიმართულების დირექტორი, წრიდობობის ქავეყნების თაორნი-

„უნცემბების“ შემდეგ ნომერში  
დაიბეჭდება კონფერენციის უფრო  
ვრცელი მიმოხილვა.

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თანამდებობის მემორანდუმი ქ. ვოთიან

საქართველოს ისტორიულ ქალაქებს შორის ფოთს გამორჩეული ადგილი უჭირავს. სახელგანთქმული ფაზისი – უძველესი ქართული სახელმწიფოს, კოლხეთის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იმთავითვე იქცა გარესამყაროსთან დამაკავშირებელ მნიშვნელოვან როლად. მას სახელი გაუთქვა არამხოლოდ არგონავტების მითმა და უმაღლესი განათლების კერამ – აკადემიამ, მისი პოპულარობა არანაკლებ განაპირობა იმან, რომ ის იტორიული განვითარების ყველა ეტაპზე თვალსაჩინო როლს ასრულებდა საქართველოსა და რეგიონის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში.

დღეს ფოთი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ- წამყვანი და პერსპექტიული ქალაქია. ფოთის პორტი, რომელიც დიდი ნიკო ნიკოლაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით აშენდა 1889-1905 წლებში, საქართველოს პირველი და შემდეგი ზღვის აუზში ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია. ის ერთ-ერთი მთავარ კვანძს წარმოადგენს ტრასეკასა და სატრანზიტო დერეფნისათვის, რომელიც მოკლე გზით აკავშირებს ევროპას კავკასიასთან და ცენტრალური აზის ევრეპინებთან. ფოთს ევროპა-აზიის კორიდორში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელიც 2008 წ. შეიქმნა, ქეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ახალი ტალღაა. დაგეგმილია მდინარე რიონის გადაკეტვა და ახალი აკვატორიის შექმნა. საერთაშორისო გადაზიდვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სარკინიგზო-საბორნე კომპლექსს, ფოთი-ილიჩევსკი-ვარნა, რომელიც ფოთს უკრაინის, ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, რუსეთის პორტებთან აკავშირებს.

ფოთის დღევანდელობა მისი განვითარების ზღვარი არ არის. მისი როგორც საპორტო ქალაქის მნიშვნელო-

ბა დღითდღე იზრდება და ფართოვდება, იშლება ახალი პერსპექტივები როგორც პორტის, ისე ქალაქის წინსვლისა და განვითარებისათვის. ეს ყოველივე ბუნებრივად მოითხოვს მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, რომელსაც მ. წ. 24 აპრილს ხელი მოაწერეს აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გ. კვესიტაძემ და ქ. ფოთის



მუნიციპალიტეტის მერმა გ. კურდლელიამ. მემორანდუმი ითვალისწინებს ქართველი მეცნიერების აქტიურ მონაწილეობას ქალაქის განვითარების პერსპექტიული პროგრამის, აგრეთვე, მიმდინარე პროექტების შედგენისა და მათი ექსპერტული შეფასების პროცესში. აღსანიშნავია, რომ აკადემია აცხადებს მზადყოფნას მთელი თავისი პოტენციალით აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქ. ფოთის წინაშე არსებული ეკონომიკური, ეკოლოგიური, საზღვაო, საგანმანათლებლო და სხვ. გამოწვევების დაძლევამი. ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ ორივე მხარეს ქვეყნისთვის ამ მეტად საჭირო და დროული ჩანაფიქრის განხორციელებაში. აქვე წარმოგიდგენთ აღნიშნული მემორანდუმის ტექსტს.

### მემორანდუმი (ტექსტი)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ერთის მხრივ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (შემდგომში – აკადემია), წარმოდგენილი აკადემიის პრეზიდენტის ბ-ნი გიორგი კვესიტაძის სახით,

მეორეს მხრივ – ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ( შემდგომში – მერია), წარმოდგენილი მერის ბ-ნი გოჩა კურდლელიას სახით,

გამოხატავენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ქ. ფოთის განვითარების და მის წინაშე მდგარი გამოწვევების გადაწყვეტაში – აკადემიის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენებით.

ითვალისწინებენ რა სანავსადგურო ქალაქის მნიშვნელობას სახელმწიფოს ეკონომიკური, კულტურული,

საგანმანათლებლო პოტენციალის ამაღლების და განვითარების საქმეში, ასევე ქართველი მეცნიერების და სპეციალისტების მზადყოფნას მიიღონ მონაწილეობა საზღვაო ქალაქის პერსპექტიული განვითარების პროგრამაში,

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### 1. აკადემია:

- 1.1. გამოთქვამს სურვილს და თავის უმნიშვნელოვანებს ამოცანად მიიჩნევს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქ. ფოთში არსებული ეკონომიკური, ეკოლოგიური, საზღვაო, საგანმანათლებლო და სხვ. პრობლემების გადაწყვეტაში.

აკადემია ასევე მიიჩნევს, რომ მისი სამეცნიერო პოტენციალი გამოყენებულ იქნას ქ. ფოთში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის პროექტების ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში, აგრეთვე, მეცნიერულად დასაბუთებული რჩევების მიწოდებაში.

## 2. მერია:

2.1 გამოხატავს დაინტერესებას შედგეს თანამშრომლობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან;

წარუდგენს აკადემიას განსახილველად ქ. ფოთის წინაშე მდგარი ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, საზღვაო, საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემათა წუსხას, მათი გადაწყვეტის გზებს; ამასთან დროულად უზრუნველყოფს სათანადო მონაცემთა და საქმიანი ინფორმაციის მიწოდებას ნორმატიული მოთხოვნებისა და ტექნიკური პირობების შესახებ; სახელშეკრულებო საფუძველზე შექმნის და განახორციელებს თანამშრომლობის ურთიერთსასარგებლო რეალურ პირობებს.

2.2. ქ. ფოთში მნიშვნელოვანი საპროექტო პერსპექტიული წინადადებების განხილვისას გამოყენებულ იქნეს პრაქტიკა – აკადემიისა და მერიის გადაწყვეტილებით კონკრეტული პროექტიდან გამომდინარე მეცნიერთა და სპეციალისტთა დღროებითი ერთობლივი კომისიის შექმნის თაობაზე, რომლებიც შეიმუშავებენ და წარმოადგენ თითოეული პროექტის შესაბამისად ექსპერტულ დასკვნებს და რეკომენდაციებს. აკადემიისა და მერიის თანამშრომლობის კოორდინაცია წარიმართოს ერთობლივად მეცნიერთა, სპეციალისტთა, მერიის სამსახურებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა მოწვევით (ჩატარებით), რათა, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომ-

დინარე, განსაკუთრებული ყურადღება მექცეს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს.

## 3. გარდამავალი დებულებები

3.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

3.2. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

3.3. ცვლილებების, დამატებების შეტანა მემორანდუმში შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომლებიც იქნება ამ მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი.

3.4. ეს მემორანდუმი არ წარმოადგენს სავალდებულ შესასრულებელ დოკუმენტს და მასში აღნიშნული საკითხების განხორციელება დამოკიდებულია მხარეთა სურვილსა და კომპეტენციაზე.

3.5. ამ მემორანდუმთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

3.6. ამ მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა მიერ ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი ინიციატივის განმხორციელებელმა მხარემ წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს მეორე მხარეს წინადადება ამ მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ – მემორანდუმის შეწყვეტამდე ორი თვით ადრე.

## 4. აკადემიისა და მერიის ერთობლივი კომისია

4.1. აკადემიისა და მერიის შორის ამ მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტურად რეალიზიანისა და კოორდინაციის მიზნით შეიქმნას კომისია პუნქტი 2.2.-ის შესაბამისად.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გორგა კურდელია

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

საქართველო, ფოთი,

დავით აღმაშენებლის ქუჩა № 12



## საქართველოს მაცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს კრიმინოლოგიის მაცნიერებათა აკადემიის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2018 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა მალხაზ ბაძალუაშვილი.

მემორანდუმის თანახმად მხარეები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და ერთმანეთისადმი ხელშეწყობის პრინციპებზე დაყრდნობით. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ერთობლივად შეიმუშავებენ და განახორციელებენ სხვადასხვა სახის ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს, მრგვალ მაგიდებს, დისკუსიებსა და სხვა აქტივობებს. ამ მიმართულებით საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია პრიორიტეტულად ითანამშრომლებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერების განყოფილებასთან, სამართლისა და კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარების მიმართულებით და სხვა საკითხებში, გამოაქვეყნებენ სამეცნიერო მრომებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის პერიოდულ გამოცემა „უწყებაში“, უურნალ „მაცნეში“ და საერთაშორისო საინფორმაციო, სამეცნიერო პრაქტიკულ უურნალ „კრიმინოლოგში“.

**მემორანდუმის ხელმოწერაზე სიტყვით გამოვიდნენ:**  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მხრიდან:

- აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი;

## საერთაშორისო სამაცნიერო კონფერენცია „კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი აღგილი მაცნიერებათა სისტემაში“

2019 წლის 24-26 მაისს, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და აშშ-ის კრიმინოლოგიური საზოგადოების მხარდაჭერით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული კონფერენცია – „კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი აღგილი მეცნიერებათა სისტემაში“, რომელიც მიეძღვნა ფრანგ ექიმ-ანთროპოლოგის პოლ ტოპინგის მიერ ტერმინ „კრიმინოლოგიის“ შემოღებიდან 140 წლისთავს.

• აკადემიკოსი როინ მეტრეველი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან:

• პროფესორი მალხაზ ბაძალუა – საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამარ-



თლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი;

• პროფესორი ზურაბ ხონელიძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;


• პროფესორი ჯემალ გახოვაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელთა საბჭოს თავმჯდომარე;

მემორანდუმის ხელმოწერას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები.

კონფერენციის ფარგლებში, ამა წლის 24 მაისს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კონფერენციის მონაცილე აშშ-ის კრიმინოლოგიის საზოგადოების წევრებს შეხვდა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი. ასევე, შეხვედრა გაიმართა სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან, სადაც სტუმრებს მიესალმა უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი მალხაზ ბაძალუა, რომელმაც შეხვედრის მონაცილებს საზღვარგარეთიდან მოწვეული მეცნიერ-მკვლევარები წარუდგინა, ასევე ისაუბრა კონფერენციის მნიშვნელობაზე, თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს. ამასთან, ფაკულტეტის დაარსებიდან 3 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წელილისათვის, აკადემიის საპატიო მეგობრის სტატუსის დამადასტურებელი სიგელი გადაეცა ფაკულტეტს. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავ-

მჯდომარე, პროფესორი **ჯვარიშვილი**, რე-ის შსს-ს  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თა-  
ნამშრომელი, პროფესორი **ვიტალი კვაშისი**, აშშ-ის ტეხ-  
ასის უნივერსიტეტის პროფესორი მანქუნ რო და აშშ-ის  
ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის პროფესორი **ჯეი-სან  
ლი**. მონცვეულ სტუმრებს, უნივერსიტეტის პროფესორ-მას-  
ნავლებლებსა და სტუდენტებს შორის გაიმართა დისკუსია  
თანამედროვე კრიმინოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.  
ამავე დღეს, საზღვარგარეთიდან მონცვეულ მეცნიერებთან  
შეხვედრა გაიმართა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნი-  
ვერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო  
კვლევითი ინსტიტუტის გელა ბანძელაძის სახელობის პრო-  
ფესიული ეთიკის განვითარების ცენტრში, რომელსაც უძ-  
ლვებოდა უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პრო-  
ფესორი **მალხაზ ბაძალაძე**. შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერ-  
სიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. შეხ-  
ვედრაზე დისკუსია გაიმართა ამერიკული კრიმინოლოგიის  
სისტემაზე და სწავლების მეთოდებიზე, მოხდა აზრთ-  
იერთგაზიარება.

25 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.



გენერალური დირექტორი, პროფესორი ზვიად გაბისნია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელი, პროფესორი **მარინე კვაჭაძე**, საქართველოს პარლამენტის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი **ეკა ბესელია**, საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი **შოთა ფაფუაშვილი**. ასევე, კონფერენციის მონაწილებმა დაბადებიდან 90 წლის იუბილე მიულოცეს კონფერენციის საპატიო სტუმარს, გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, **ვიტორია სირაძეს**, რომელსაც გადაეცა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის სპატიო მეცნიერებრივი სტუმარის დამადასტურებელი სიგელი.

კონფერენციის უძღვებოდა პროფესორი ჯგუმალ გახოვაძე. მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფესორი მალხაზ ბაძალუა - „კრიმინოლოგის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი ადგილი მცირდებათა სისტემაში“;

პროცესორები მიანჭენ რო და ჯეო-სან ლი – „კრიმ-ინოლოგიისა და მართლმსაჯულებაში სამხილებზე დაფუძნებული პრატიკის ცვლილების მოდელი“;

პროფესორი ვიტალი კვაშისი – „კრიმინოლოგია: მნიშვნელობა და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში“.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი თოდრია – „კრიმინოლოგიის თეორიის ზოგიერთი პრობლემა“;

გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის  
პროფესორი **გივი ლობუანიძე** - „ტრანსნაციონალური  
ორგანიზებული დანაშაულითის კრიმინოლოგიური ას-  
პიტობა“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკა-  
დემიის წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი **ჯემალ ჯანაშია** – „საბაზისო თეზისები თანა-  
მედროვე ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანი-  
ზაციების გენეზისისა და სისტემატიზაციის კრიმინოლო-  
გიურ კვლევებთან დაკავშირებით“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფო-სა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესიონალი გიორგი ლლონტი – „ნარკოტიკების დაკრიმინალიზაცია: სამართლებრივი მიდგომები და შედარებითი ანალიზი“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საორგანიზაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი დავით გუგავა – „კრიმინოლოგიის მნიშვნელობა მართლმსაჯულების სისტემაში“;

- საქართველოს კრიმინოლოგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **თემიურაზ ბერიძე** – „საკუთრების კრიმინოლოგიურ ასპექტები“;
  - საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ვეფხვა გვარაშვილი** – „საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოების როლი საერთაშორისო დანაშაულობის პრევენციაში“;
  - საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი **მანანა ხვედელიძე**: „ზოგი სახელმწიფოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებში კრიმინოლოგიის ასპექტები“;

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი **თეომურაზ ფაჩულია** - „აქსიოლოგიისა და კრიმინოლოგიის ურთიერთ-მიმართების საკითხები“;

• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის თანადამფუძნებელი **ნანა ლომაია**: „კრიმინოლოგიის მნიშვნელობა ქართულ მედიასივრცეში“;

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **პეტრე დაუთაშვილი**: „კრიმინოლოგიური აზროვნება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ქრილში“;

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი **გელა ხუციშვილი** - „ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსანსის საფრთხეების პროგნოზირება და მათი თავიდან აცილების კერიმინოლოგიური გზები“;

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **მიხეილ მამნიაშვილი**, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი **პოლიკარპე (თემური)** მონიავა - „ნულოვანი ტოლერანტობის“, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის გავლენა გამოძიების ფორმებსა და მეთოდების“;

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-მკვლევარი, ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევის ცენტრის დირექტორი, წმინდა ანდრია პირველწლებულის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი **ბადრი ნაჭყაბია** - „ტრანსნაციონალური დანაშაულობის განვითარების ძირითადი ტენდენციები“;

**კონფერენციაზე განსახილველად ასევე წარმოადგინეს შემდეგი მოხსენებები:**

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, აშშ-ის კრიმინოლოგიური საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, აშშ-ის წერასკის უნივერსიტეტის პროფესორი **კრის ესკრიფი** - „მართლმსაჯულება და მართლმსაჯულები სისტემა აშშ-ში“;

• გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, საჯარო მართველობის დოქტორი **დავით სუვაშვილი** - „საერთაშორისო ტერორიზმის პრევენციის მქანიზმები საქართველოს კონტექსტში“;

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ხონელიძე** - „რბილი ძალა - საუნივერსიტეტო დიპლომატია“;

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ირაკლი გაბისონია**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ირაკლი გაბისონია**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი **ჯემალ გაბელიძე** - „დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ახსნა ინტეგრირებული მეთოდების გამოყენებით“;

• ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **გივი აბაშიძე** - „კრიმინოლოგიის მნიშვნელობა, მისი ადგილი და როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“;

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნი-

ვერსიტეტის ბრიტანეთისა და ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **მაია ნადარეკიშვილი** - „დანაშაულის ფსიქო-ტოლოგიური ანალიზი“;

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები **გიმზერ ალანია** და **ავთანდილ ხაზალია** - „საგამოძიებო მოქმედებებში კრიმინოლოგიის მახასიათებლების ეფექტურად გამოყენების აქტუალური საკითხები“;

• საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **მიხეილ ბაძალუა** - „კრიმინოლოგიური ექსპერტიზა, როგორც ნორმაშემოქმედებითი და სამართალშემოქმედებითი შეფასების საშუალება“;

• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი **ანზორ ჩუბინიძე** - „დაცვის სპეციალური სამსახური, როგორც ვიქტორიში შემცირების სახელმწიფო მექანიზმი“.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს და მოსაზრებები გამოთქვეს პროფესორებმა: მინდია უგრეხელიძემ, ჯემალ გახოვიძემ, მალხაზ ბაძალუამ, პოლიკარპე მონიავამ, ეკა ბესელიამ, მიხეილ მამნიაშვილმა, ელიკო ნიკლაური-ლამიძემა, ჯემალ ჯანაშიამ, ბადრი ნაჭყაბიამ და ბესიკ კვირიკაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებს სტუდენტების სახელით მიესალმა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი მარიამ მარიამიაშვილით მარიამ ტურიაშვილი.

კონფერენციის მონაწილეებისადმი პროფესორ **კრის ესკრიფი** მისასალმებელი წერილი გააცნო საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინატორმა საერთაშორისო საკითხებში **მედეა ბაძალუა-სანაიამ**.

კონფერენციის მონაწილეებისადმი პროფესორ **კრის ესკრიფი** ეროვნული აკადემიკოსი აკადემიკოსი ელიზარ ჯავალიძე, ამავე აკადემიის უნივალუალ „უწყება“-ს რედაქტორი ენვერ ნიუარაძე, აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი ავთანდილ აპაშიძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა **მალხაზ ბაძალუაშენავამა** კონფერენციის შედეგები, მადლობა მოასენა კონფერენციის ორგანიზატორებსა და სტუმრებს. მონაწილეებს აცნობა, რომ კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება უურნალ „კრიმინოლოგში“, ხოლო გამოთქვეული მოსაზრებები ეცნობება შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მანვე მონაწილეებს გადასცა კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები, ხოლო აკადემიის საპატიო წევრის დიპლომები გადაეცათ პროფესორებს: **მინდია უგრეხელიძეს, მაინჰუნ როს, ჯეო-სან ლის** და **ვიტალი კვაშისს, ასევე თენგიზ ქავთარაძეს**. აკადემიის წევრის დიპლომები გადაეცათ პროფესორებს: **ჯემალ ჯანაშიასა და პოლიკარპე (თემური) მონიავას**.

კონფერენციის ფარგლებში ამა წლის 27 მაისს აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი **მალხაზ ბაძალუა** და აშშ-ის ჩრდილოეთ კენტურის უნივერსიტეტის პროფესორი **ჯეო-სან ლი შეხვდნენ** საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელმწიფო უნივერსიტეტს პროფესორ-მასანავლებლებსა და სტუდენტებს, სადაც მათ შორის გაიმართა და დისკუსია თანამედროვე კრიმინოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე.



## ჩემი ირაკლი

დიდი ხანი არაა, რაც ჩემი უფროსი მეგობარი აკადემიკოსი ირაკლი უორდანია განერიდა წეტისოფელს. ის მაღალი ზნების, დიდი ბუნების და სიკეთის განსახიერება გახლდათ.

ჩემი ირაკლი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა გარეგნობით, ნიჭიერებით, კეთილგონიერებით, კეთილსინდისიერებით, გულწრფელობით და გასაოცარი თანადგომის უნარით. მან შესანიშნავად იცოდა მეგობრობის ფასი, ყველასთან ინარჩუნებდა კეთილგანწყობილ ურთიერთობას, გულწრფელად იზიარებდა მოყვასის სატკივარს...

დადიოდა თავის სათაყვანებელ ქალაქში აღნაგი და სახენათელი, თხემით ტერფამდე ქართული გენის და ჯიშის, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, დახვეწილი ინტელიგენტი, ზნეკეთილი, სასიამოვნო მოსაუბრე, სიკეთის ნამდვილი ეტალონი.

სიდინჯე, შინაგანი კულტურა, მომხიბელელობა, დარბასისლური მსჯელობა ახასიათებდა ირაკლის. მან ცხოვრებაში რთული, მაგრამ მეტად საინტერესო გზა განვლო და სამშობლოსა და ხლის ინტერესებისადმი ბოლომდე ერთგული დარჩა.

ირაკლიზე ბევრი მაქვს მოსაგონარი, მასზე ბევრი კარგის თქმა და

გახსენება შემიძლია, ის დიდი ადამიანი იყო, დიდი ადამიანებთან მეგობრობა კი უფლის წყალობაა, ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ჩვენს ურთიერთობას, ჩვენმა მეგობრობამ ათეულ წლებს გაუძლო.

მიუხედავად იმისა, რომ მას სრულიად ახალგაზრდას მიანიჭეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო ლენინური პრემია (მეტალურგიაში), როგორი თავმდაბალი, მოკრძალებული და უპრეტენზიონული იყო მანამდე, ისეთივე დარჩა ცხოვრების ბოლომდე.

1980 წელს ჩვენ ერთად ვიყავით მიწვეული მოსკოვში – სახალხო მეურნეობის აკადემიაში. ის მაშინ საქართველოს საგეგმო კომიტეტის

თავმჯდომარის მოადგილე იყო მე კი მშენებლობის მინისტრის მოადგილე. მეცნიერების კორიფეულს, რომლებიც ჩვენ ლექციებს გვიყითხავდნენ, აკადემიკოსებს, საკავშირო მინისტრებს თუ კომიტეტების თავმჯდომარებს, ხიბლავდათ ქვეყნის პრობლემატურ საკითხებზე მისი მსჯელობა და ნებისმიერი საკითხის მხოლოდ სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განხილვის უნარი.

ორჯერ ვისვენებდით ერთად კარლოვი ვარში. ურთიერთობაში, ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ, ის ყოველთვის დიდ სითბოს, სიყვარულს და პატივისცემას ამჟღავნებდა.

ირაკლის არ უყვარდა თავისი დაბადების დღის აღნიშვნა, მაგრამ ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, ვიწრო წეს აუცილებლად შეგვკრებდა და მოგვეფერებოდა.

1982 წელს, მოსკოვში, ჩემი ორმოცი წლის იუბილეზე, სადაც აკადემიის სახელგანთქმული მეცნიერები მყავდა მოწვეული, აღფრთოვანებით და საზგასმით აღნიშნავდნენ მის ბრწყინვალე თამაღობას.

მე ვიცნობდი მის სანათესავოს, როგორც უსათნოესი და ულამაზესი დედის, ასევე მამის მხრიდან. ეს

ღირსეული ხალხი მაღალი ინტელექტით, წიგნიერებით და შესანიშნავი გარეგნობით გამოირჩეოდა (მინდელები, აბაშიძეები, უორდანიები).

მისმა შესანიშნავმა, ერთგულმა მეუღლემ, ლილიმ, თავდაუზოგავად იბრძოლა ირაკლის სიცოცხლის გადასარჩერნად, მაგრამ...

ერთადერთმა სათაყვანებელმა ქალიშვილმა თათიმ, რომელიც ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს, სწორედ იმ დღეებში, როცა ირაკლი გარდაიცვალა, ქვეყანაზე მოავლინა ვაჟი. უზომოდ სამწუხაროა და გულდასაწყვეტია, რომ ბაბუა ვერ მოესწორ ნანატრ პირველ შევილიშვილს, რომელსაც მოუთმენლად, დიდი სიხარულით ელოდა.

ჩემი ირაკლი, შენი შვილიშვილი რომ წამოიზრდება, მოვიყვან შენ საფლავთან, სანთელს დაგინთებ და ვუამბობ შენ კეთილგონივრულ და სასახელო საქმეებზე.

თითქმის ყოველდღე ვსაუბრობდით. ორი-სამი დღე თუ არ შევემიანებოდით ერთმანეთს, დამირეკავდა და ხუმრობით მისაყვედურებდა: არ გრცხვენია ომარ, სადა ხარ, რატომ დაიკარგეო!

საღამოს ტელეფონის ზარზე, წამიერად გამიელვებს აზრი ირაკლი ხომ არ რეკავს...

მენატრება შენი ბუბუნა ხმის გაგონება, ჩემი ირაკლი!

რა ვქნა, ძალიან მაკლიხარ, უშენობას ვერ შევეგუ!

ღმერთო, უმრავლე ჩემს სამშობლოს ირაკლი უორდანიას სადარი ღირსეული პირველები და ჭეშმარიტი მამულიშვილები.

**ომარ მარგველაშვილი**

**რედაქტორი:** ენვერ ნიუჟარაძე  
**დაკაბადონება:** პაატა ქორქია

**უწყებები** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ათვლითი გამოცემა იქნება აკადემიის სტამბაში